

პასუხი შვილთა

ჰე, განუსჯელნო,
უმადლო შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო.
სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰუნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?
უკადრისობით
და უმეცრებით

ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებით
თქვენვე ინანებთ,
თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით,*
მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დალისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა საყდარი, სარწმუნოება!..

დრო შეიცვალა,
გამეფდა სწავლა,
გაგელოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
სწავლის მამები,
პროფესორები,
თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქადაგნი,
თქვენ გასწავებდენ
და მზად გაძლევდენ
რაც შეეძინათ საუკუნოებს!..
ჩვენც ვჰნუგეშობდით,
გულით ვჰხარობდით,
შვილი მამასა ემჯობინება!

* ღენერალი ივანე აფხაზი. ალექ. ჭავჭავაძე, ვასილი ბებუთოვი, მოსე არღუთაძე, ივანე ანდრონი, ზაქ. ილია და სოსიკო ორბელიანი, იასონ და ნიკო ჭავჭავაძე, ნაკო ერისთავი, ნიკო ამილახვარი, დავით ვახვახიანი, ზაქ. ანდრონი, ივანე ბაგრატიონი, იოსებ თარხაძე, ქობულაძე, სვიმ., შალიკოვი, ბაქრაძე! და ას სამოცნი, სხვანი დახოცილნი და დაჭრილნი უკანასკნელს ბრძოლაში ესენი უნდა იყვნენ თქვენგან გასალანძლავნი?

და მოგელოდით
დიდის იმედით
სიხარულისა ღელვით აღვსილნი!
ვითმინოთ, მოვლენ,
და გაგვინათენ
ჰსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!
ჩვენც მივეგებოთ
მხიარულებით,
ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!..

*

მოვიდენ... და რა?
სულ ჩაგვამწარა...
ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..
პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვსთქვით ახლა მხარე გაგვინათლდება!..
ყმანი საწყალნი,
უბიწო გულნი,
ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..
უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს:
"დ ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?"
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!"
და დაიწყევლა
თქვენი აქ მოსვლა,
და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!
ღმერთი არ არის?..
შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?

*

სხვათა ხელი ჰყვეს

კეთილსა საქმეს:

* ნათქვამი იმავე შკოლის მოწაფისაგან ლ. მე...საგან.

სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..*
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,
სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მაღლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით:
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*

ახლა რას ელით?
მამათ რად ჰსწყევლით?
ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!
ძველთ უძველესი
არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
ჰსწავლითა, საქმით!
მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს!
ცუდ მეტყველებით
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქვენი დიდება
ჩვენც გვეამება:
მის სხვიის შუქიც ჩვენც მოგვინათებს!..
აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დაცლილის.

* წაიკითხეთ "დროება" და იხილავთ ქართულის ენის დაპრანჭვას.

რადასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძღვევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირალით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შეჰსძრას ქვეყანა მის აღსადგენად?..
ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..

*

ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალ ფრაზები:
"მოყვასს დ შეწევნა,
ბოროტსა დ დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!.."
სიტყვა დ სიტყვაა,
საქმე კი დ სხვაა...
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

*

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ,

მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!..

და გულით ოჰხრავს
ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...
თქვენსა უქმობას,
არარაობას,
და უმეცრების ამაცობას!..

*

ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუ პოეტები?
ცრუ ლიბერალნი,
პატრიოტები.
მ[ე]ს[ხ]ი, მეველე. მელიქ ადები.
1874 წ.